№ 73 =30 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, აპრილის 1 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი ხ. ი. ეულაბიშვილის ხელმძღვანელობით

ხუთშაბათს, 1 აპრილს, მ. ი. ბაუერზაკის ბენეფისი.

### 1. ხალხთა ცეკვა. 2. სიზმარი ზაფხულის ღამისა.

3. გიტონა. პარასკევს 2 აპრილს მეორე გასტროლი მიშელ დარიალის ნანობაშვილის „ჰუგენოტები". შაბათს, 3 აპრილს, ოპერა მუშებისათვის „ფაუსტი" და „ვალპურგიის ღამე".

## გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას" კანტორა აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 1 აპრილიდან გაზეთი ეღირება თვიურად 70 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი: პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. ტექსტის შემდეგ—3 მ. 50 კ. სამგლოვიარო. განცხადება ჩვეულებრივი ზომის 140 მან. ნისია განცხადებებზე გადახდება ნიხრზე მეტი 20 პროცენტი. ვისაც გაზეთი უკვე გამოწერილი აქვთ უნდა გადაიხადონ 1 აპრილიდან დამატებითი ფასი.

## ქალთა მე-7-ე წმ. ნინოს გიმნაზიის სამეურნ. კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ შაბათს, აპრილის 3-ს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საჯარო გაყიდვა ძველი პიანინოსი გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქ. 13). ხელმეორედ გაყიდვა 4 აპრილს, 12 საათზე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში, იქვე შეიძლება დათვალიერება გასაყიდი პიანინოსი ყველ დღე 2—3 საათამდის.

3—2 605

## ოფიციალური განყოფილება

## დ ე კ რ ე ტ ი.

**საქართველოს და სომხეთს შორის ნეიტრალურ ზონის მილიციის შტატის შემოღებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის სექტემბრის 1-დან საქართველოს და სომხეთს შორის ნეიტრალურ ზონის მილიციის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ დეკრეტთან დართულ ნუსხის თანახმად.

2. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამ დეკრეტის პირველ მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის 1919 წ. სექტემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-მდე ერთი მილიონი ოთხას ოცდათერთმეტი ათას ცხრაასი (1.431.900) მან.

3. დეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## შ ტ ა ტ ი

**საქართველოს და სომხეთს შორის ნეიტრალ ზონის მილიციისა.**

1919 წლის სექტემბრის 1-დან.

| №№ რიგ. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა ნ ი. | რიცხვი. | თვიური ჯამაგირი. | | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | თვითეულს. | ყველას. | |
| 1 | მთავარი კომისარი | 2 | 2500 | 5000 | |
| 2 | კანცელარიის გამგე | 1 | 2000 | 2000 | |
| 3 | ბუხჰალტერი | 1 | 1800 | 1800 | |
| 4 | მაგიდის გამგე | 2 | 1800 | 3600 | |
| 5 | მილიციის უფროსი | 1 | 1800 | 1800 | |
| 6 | მწერალი | 2 | 1500 | 3000 | |
| 7 | მანქანით გადამწერი | 1 | 1500 | 1500 | |
| 8 | გადამწერი | 2 | 1200 | 2400 | |
| 9 | ცხენოსანი ვახმისტრი | 1 | 1600 | 1600 | |
| 10 | ცხენოსანი ასეულის უფროსი | 1 | 1400 | 1400 | |
| 11 | ცხენოსანი მილიციონერი | 30 | 1300 | 39000 | |
| 12 | ქვეითი მილიციონერი | 30 | 1000 | 30000 | |
| | | 73 | — | 93100 | |
| | **უბნის კომისარიატი.** | | | | |
| 13 | უბნის კომისარი | 1 | 2300 | 2300 | |
| 14 | საქმის მწარმოებელი | 1 | 1700 | 1700 | |
| 15 | გადამწერი | 1 | 1200 | 1200 | |
| 16 | ცხენოსანი ვახმისტრი | 1 | 1500 | 1500 | |
| 17 | ცხენოსანი მილიციონერი | 8 | 1300 | 10400 | |
| 18 | ქვეითი მილიციონერი | 6 | 1000 | 6000 | |
| | | 18 | — | 23100 | |
| | **მე-2 უბნის კომისარიატი.** | | | | |
| 19 | უბნის კომისარი | 1 | 2300 | 2300 | |
| 20 | საქმისმწარმოებელი | 1 | 1700 | 1700 | |
| 21 | გადამწერი | 1 | 1200 | 1200 | |
| 22 | ცხენოსანი ვახმისტრი | 1 | 1500 | 1500 | |
| 23 | ცხენოსანი მილიციონერი | 8 | 1300 | 10400 | |
| 24 | ქვეითი მილიციონერი | 6 | 1000 | 6000 | |
| | | 18 | — | 23100 | |
| | **მე-3 უბნის კომისარიატი.** | | | | |
| 25 | უბნის კომისარი | 1 | 2300 | 2300 | |
| 26 | საქმის მწარმოებელი | 1 | 1700 | 1700 | |
| 27 | გადამწერი | 1 | 1200 | 1200 | |
| 28 | ცხენოსანი ვახმისტრი | 1 | 1500 | 1500 | |
| 29 | ცხენოსანი ასეულის უფროსი | 1 | 1400 | 1400 | |
| 30 | ცხენოსანი მილიციონერი | 12 | 1300 | 15600 | |
| 31 | ქვეითი მილიციონერი | 6 | 1000 | 6000 | |
| | | 23 | — | 29700 | |
| | **სოფლის საზოგადოებათა კომისარიატები.** | | | | |
| 32 | 1 უბ. საზოგ. კომის. | 4 | 650 | 2600 | |
| 33 | მე-2 უბნ. საზოგ. კომის. | 4 | 650 | 2600 | |
| 34 | მე-3 უბნ. საზოგ. კომის. | 6 | 650 | 3900 | |
| 35 | სამივე უბანში სოფ. საზ. მილიც. | 30 | 500 | 15000 | |
| | | 44 | — | 24100 | |
| | **საექიმო პერსონალი.** | | | | |
| 36 | თითო უბანში თითო ფერშალი | 3 | 1200 | 3600 | |
| 37 | ბეითალ-ფერშალი სამთავე უბანში ერთი | 1 | 1200 | 1200 | |
| | | 4 | — | 4800 | |
| | **ყარაკლისის სახელმწიფო მამულის მმართველობა.** | | | | |
| 38 | მამულის გამგე | 1 | 1500 | 1500 | |
| 39 | ცხენოსანი დარაჯი | 1 | 900 | 900 | |
| | | 2 | — | 2400 | |
| | **სატყეო მილიცია.** | | | | |
| 40 | ტყის გამგე | 1 | 1800 | 1800 | |
| 41 | ტყის დარაჯი | 20 | 750 | 15000 | |
| | **ფოსტა-ტელეგრაფის უწყება.** | | | | |
| 42 | ფოსტის უფროსი | 2 | 1800 | 3600 | |
| 43 | თანაშემწე | 1 | 1600 | 1600 | |
| 44 | დარაჯი | 2 | 900 | 1800 | |
| 45 | მეფოსტე | 1 | 1400 | 1400 | |
| | | 6 | — | 8400 | |
| | **განათლების უწყება I უბანში.** | | | | |
| 46 | სკოლის გამგე | 5 | 1200 | 6000 | |
| 47 | მასწავლებელი | 7 | 1000 | 7000 | |
| 48 | დარაჯი | 2 | 400 | 800 | |
| | | 14 | — | 13800 | |
| | **მე-2 უბანში.** | | | | |
| 49 | სკოლის გამგე | 6 | 1200 | 7200 | |
| 50 | მასწავლებელი | 4 | 1000 | 4000 | |
| 51 | დარაჯი | 2 | 400 | 800 | |
| | | 12 | — | 12000 | |
| | **მე-3 უბანში.** | | | | |
| 52 | სკოლის გამგე | 9 | 1200 | 10800 | |
| 53 | მასწავლებელი | 11 | 1000 | 11000 | |
| 54 | დარაჯი | 4 | 400 | 1600 | |
| | | 24 | — | 23400 | |
| | სულ . . . | 259 | — | 274700 | |

1920 წ. მარტის 16 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## დამფუძნებელი კრება

**30 მარტის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ექვთ. თაყაიშვილი.**

**იგ. გომართელის** მოხსენებით მიღებულ იქნა წინა სხდომებზე მიღებულ დეკრეტების და კანონების საბოლოო ტექსტი.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის სახლის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

**მ. რუსიას და გრ. გიორგაძის** მოხსენებით ზოგადათ განხილულ იქნა კანონ-პროექტები: 1) მესხეთ-ჯავახეთის და არტაანიის რაიონში სამომრიგებლო სასამართლო ინსტიტუტის შემოღებისა და 2) მესხეთ-ჯავახეთის და არტაანის რაიონში საგამომძიებლო ინსტიტუტის შემოღებისა.

**ს. იმნაიშვილის** მოხსენებით ზოგადად განხილულ იქნა კანონ-პროექტი ფოთის საზღვაო სასწავლებლის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**დ. ონიაშვილმა** მოახსენა კრებას კანონ-პროექტი სამაზრო და სასოფლო მილიციისა და ადმინისტრაციის ახალი შტატის შემოღების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტის მიზანია გაჯანსაღება ჩვენი მილიციისა. მილიცია მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებს, ის ანხორციელებს ყველა იმ კანონებს და დადგენილებებს, რომელიც ცენტრში იცემა. მილიცია ხალხთან ახლოს სდგას და ხალხი მილიციის სიცუდით თუ სიკარგით მსჯელობს თვით მთავრობის და რესპუბლიკის წყობილების სიცუდე-სიკარგეზე. მილიციის სახე-

ლის გატეხა, ეს სახელმწიფოს სახელის გატეხაა. ამიტომ ჩვენ უნდა ჩავაყენოთ მილიცია ისეთ მდგომარეობაში, რომ მან სათანადოთ შეასრულოს თავისი მოვალეობა.

ვის უნდა ექვემდებარებოდეს მილიცია?

მილიცია დღეს ექვემდებარება სამაზრო ერობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვალეობას შეადგენს საერთო ხელმძღვანელობა, კანტროლის გაწევა, უმაღლესი გამგებლობა. რაც შეეხება თემს, ჯერ-ჯერობით ის არ არის მომაგრებული და ასეთ პირობებში მისთვის მილიციის დაქვემდებარება შეუძლებელია. დღეს ფაქტიურათ უკვე გაუქმებულია მაზრის და რაიონის კომისრის თანამდებობა და მის ნაცვლად შემოღებულია მაზრის მილიციის უფროსის და რაიონის მილიციის უფროსის თანამდებობანი. კანონ-პროექტშიც ეს ფაქტიური მდგომარეობა დადასტურებულია, გაუქმებულია სოფლის კომისრის თანამდებობა სოფლის საზოგადოებაში 5 მილიციონერის მაგივრად უნდა დარჩეს ორი. თუ რომელიმე საზოგადოებაში საკმარისი არ იქნება 2 მილიციონერი, მაშინ ის შუამდგომლობას აღძრავს მე-3-ე მილიციონერის მომატების შესახებ. სიმძიმის ცენტრი გადატანილია რაიონში; ყაჩაღობის და სხვა ამგვარ შემთხვევებში საზოგადოებას შეუძლია იმსახუროს რაიონის მილიცია, ჯამაგირი ერთობ გადიდებულია. მაზრის მილიციის უფროსს უნდა მიეცეს 3500 მან., მის თანაშემწეს 2500 მან. რაიონის მილიციის უფროსს 2000 მან, უფროს მილიციონერს 1600 მან., უნცროსს მილიციონერს—1200 მან. ამას ემატება თებერვლის მომატება. გარდა ამისა ნავარაუდევია ერთდროული დახმარება უბედური შემთხვევებისათვის, ამ მიზნით შინ საქ. სამინისტროს განკარგულებაში უნდა გადაიდოს 100 ათასი მანეთი. ეს ცოტაა, მაგრამ ამას დროებითი ხასიათი აქვს, რადგანაც ამის შესახებ ახლო მომავალში შემუშავებულ იქნება და დამფუძნებელ კრებას წარედგინება განსაკუთრებული კანონი, რომლითაც განსაზღვრული იქნება ნორმები უბედურ შემთხვევების დროს დახმარებისა. სულ ნავარაუდევია მილიციის შესანახად მთელი წლის განმავლობაში 80 მილიონი მანეთი, საბიუჯეტო წლის დამლევამდე კი 47 მილ. მანეთი. მთავრობის დადგენილებით, რომელსაც საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაც დაეთანხმა, სახელმწიფო ხაზინა იღებ 75 პროცენტს ამ ფულებიდან, დანარჩენი 25 პროცენტი უნდა გაიღონ ერობებმა. ეს შტატება დამტკიცებულ უნდა იქნეს 1 თებერვლიდან ამა წლისა. კამათი ამ საკითხზე არ ყოფილა. მუხლობრივი განხილვა ამ კანონ პროექტისა მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

**ქ. ნინიძის** მოხსენებით მინისტრის განკარგულებაში 15 მილიონი მანეთის გადადებისა სათესლე მასალის შესაძენათ. შეძენილ უნდა იქნას ქერი და სიმინდი, რადგან ხორბლეულობის დათესვის დროო უკვე გასულა.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სკოლის გარეშე სწავლების შემოღებისთვის 2 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

## გზათა დეპარტამენტის დირექტორის განკარგულება

გზათა დეპარტამენტის დირექტორმა შემდეგი განკარგულება დაუგზავნა რკინის გზაზე ყველა მომქმედ ორგანოებს: უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში სახაზინო რკინის გზებზედ სამჯერ მოხდა სამარცხვინო დამსხვრევა მატარებლისა ზესტაფონთან, ყარაიაში და ბეიუკ-კიასიკში, სამივე შემთხვევა უმთავრესად გამოწვეულია სამსახურის უყურადღებობით და დაუდევრობით. წინადადებას ვაძლევ ყველა უფროსებს ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ, რომ საჭიროა ენერგიული დაცვა ხალხის ინტერესებისა და ქონებისა. ვიძლევი წინადადებას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მოსამსახურე რა დარგისაც და თანამდებობისაც არ უნდა იყოს ის თავის დაუდევრობით ან ბოროტ-განზრახვით გამოიწვევს მატარებლის დამსხვრევას ან სხვა რამე ასეთსავე ზიანს რკინის გზაზედ ის დაუყოვნებლივ დატუსაღებული და საპყრობილეში გაგზავნილი იქნეს სხლის სამართლის წინაშე პასუხის საგებად, როგორც ბოროტ-მოქმედი. ჩხრეკა ძიების თავი დაანებეთ, გამოძიება ამისთანა შემთხვევების შესახებ სამ დღეზედ მეტს არ უნდა გრძელდებოდეს. მოვაგონებ მთელ ადმინისტრაციას და ყველა რკინის გზებს, რომ შემოდგომაზე, როდესაც ბოროტ-ვამზრახველებმა და ყაჩაღებმა თავხედურად დაიწყეს მატარებლების დამსხვრევა. მთავრობამ, რომელიც გამოსახავს საქართველოს დემოკრატიის მტკიცე ნებისყოფას ბასრი მახვილით აჰკვეთა მათი ბოროტ-მოქმედებანი. ვაცხადებ საყოველთაოთ საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ, რომ ის რკინის გზელები, რომელნიც თავის დაუდევრობით უყურადღებობით და ბოროტ-განზრახვით ახდენენ ასეთსავე დამსხვრევებს მატარებლებისას ათას წილად უფრო ღირსნი არიან მკაცრი და ულმობელი სასჯელისა და კიდევაც მიიღებენ მას. ეს განკარგულება სახაზინო რკინის გზების უფროსმა, კახეთის რკინის გზის მმართველმა რკინის გზების კომენდანტმა და მილიციის უფროსმა მიიღონ სახელმძღვანელოდ გამოუკლებლივ. დეპეშა გამოცხადდეს ყველა სასამსახურო ბინებში, სადგურებზედ, სამორიგეო ოთახებში, ყაზარმებში მთელ ხაზზედ.

## „ტაიმს“-ი ბ ათუმის შესახებ

23 თებერვლის „ტაიმს“-ში მოთავსებულია შემდეგი ტელეგრაფით გადაცემული ცნობა კონსტანტინოპოლიდან:

„აქ მოვიდა ბათუმიდან მიმავალ ბრიტანეთის ჯარების პირველი ეშელონი. აქ მოელიან, რომ ქალაქს ქართველი ჯარები დაიკავებენ; მაგრამ საეჭვოა, შესძლებენ თუ არა ისინი წესრიგი დაამყარონ ბათუმის ოლქში, რომელსაც ორგვარი ბანდები ემუქრებიან. პირველი ბანდები ბოლშევიკებს თანაუგრძნობენ.

ბრიტანეთის სამხედრო ძალა-უფლებამ ბათუმში, რომელიც ძალიან ბევრს მუშაობს სხვა მხრივ, გადადგა ერთი მხრივ, ისეთი ნაბიჯი, რომელიც შემდეგ შემცდარი აღმოჩნდა: მან ბათუმში გააძლიერა დონის ფულის ტრიალი ტფილისის ფულის ტრიალის მაგივრათ. დენიკინის უკან დახევამ, რასაკვირველია, გამოიწვია დონის ფულის კურსის დაცემა, რაც ბათომის ბაზარსაც დაეტყო; ამას მოჰყვა შედეგათ ფასების ზრდა და ფინანსიური პანიკა, რაზედაც გავლენა მოახდინა წითელმა პროპაგანდამაც.

მაგრამ წითლებზე უფრო საშიში ოსმალეთის ნაციონალისტური ბანდებია, რომლებსაც მხარს უჭერენ: ოსმალეთის ნაციონალისტური ორგანიზაცია, ენვერისა და ნურის პანისლამისტური ორგანიზაცია, რომელიც დღეს ხანში და ამიერ-კავკასიაში მუშაობს. ოსმალეთის უკიდურეს მიმდინარეობათა ინტერესი ამ უკანასკნელ ოლქში დიდი ხანია ცნობილია. ოსმალურ ენაზე მოსაუბრე ბათუმის ოლქში მცხოვრებთა შორის დიდი ხანია სწარმოებდა აქტიური პროპაგანდა და, ამბობენ, რომ ამ პროპაგანდამ უკვე გადაიბირა ქართველი მუსლიმანები.

ერთად-ერთი სარგებლობა, რაც ბათომის ევაკუაციას მოჰყვა შედეგათ, ეს კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის ძალების გაძლიერებაა. მეორე მხრივ სჩანს, რომ ევაკუაცია მომხდარა მეტათ არა ხელსაყრელ მომენტში. როგორც გასულ ზაფხულში მომხდარი სამსუნის ევაკუაცია, ისე ეხლანდელი ევაკუაციაც უთუოდ გაამხნევებს ოსმალეთის ნაციონალისტებს მათი ავანტიურათა პოლიტიკისათვის. კიდევ მეტიც, ეს ევაკუაცია დამაღონებელი იქნება ამიერ-კავკასიის იმ ელემენტებისათვის, რომლებიც ჩვენგან მოელიან ხსნას რუსეთის ან ოსმალეთის თავდასხმისაგან.

ჩვენი პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში უკანასკნელ ხანებში ... ნაყოფიერი იყო. ამ პოლიტიკის მიზანი იყო მეგობრულ დამოკიდებულებათა დამყარება სომეხთა, თათართა და ქართველთა რესპუბლიკებს შორის და თუმცა ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ამ პოლიტიკის დასაწყისი კარგი იყო. მაგრამ თუ არა სამხედრო ოკუპაცია ბათუმის—ამიერ-კავკასიის დასავლეთის პუნქტისა—ჩვენი დიპლომატიური ნაბიჯები, როგორც ნაბიჯები მეტად ნეიტრალური პარტიისა ამ სამ რესპუბლიკათა შორის ატეხილ უთანხმოებათა მოგვარების დროს,—არ შეიძლება ნაყოფიერი იქნეს.

უნდა უფრთხილდეთ ჩვენი ჯარების გაყვანას იმ მომენტში, როცა ანტანტა ამ რესპუბლიკებს პირდება დახმარებას გარეშე მტრის წინააღმდეგ. ეს გარემოება იქ მოახდენს ცუდ შთაბეჭდილებას, განსაკუთრებით სომხეთში. ისინი იფიქრებენ, რომ ჩვენ არ ძალგვიძს დახმარება მივსცეთ ჩვენთან მეგობრულად განწყობილ ელემენტებს.

ჯარების გაყვანა პოლიტიკური მოსაზრებით ხდება თუ სამხრეთით, არ არის გამორკვეული, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ზომას მიღება გამომდინარეობდეს ადგილობრივი სამხედრო, ანუ სამოქალაქო მმართველებისაგან. ზოგიერთი არა კეთილი კრიტიკოსები ამ ზომას ხატავენ, როგორც მუშათა პარტიის სურვილების დამაკმაყოფილებელ ზომათ, იმ მუშათა პარტიის, რომელსაც ბათომი რუსეთი ჰგონია. მაგრამ ჯერ კიდევ საკითხია, დაკმაყოფილდება თუ არა მუშათა პარტია იმ ფაქტით, რომ სომხეთის რესპუბლიკა ახლა უფრო გაცალკევებულია, ვინემ ოდესმე.

## აზერბეიჯან—სომხეთის კონფლიკტი

**აზერბეიჯანის მთავრობის ნოტა**

საქართველოში აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის საინფორმაციო განყოფილება დეპეშით შემდეგს გვატყობინებს:

უკანასკნელად ყარაბახის რაიონში, მომხდარ ამბების გამო, აზერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი ცნობა გადასცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგ. გეგეჭკორს და ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ამიერკავკასიაში:

„მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: 22 მარტს, ღამის 3 საათზე, ბაირამის დღესასწაულის პირველ დღის შემდეგ სომხეთის შეიარაღებული ძალა რეგულიარული ჯარის ნაწილებთან ერთად არტილერიით ისარგებლეს, რადგანაც ყარაბაღის რაიონში იყო მხოლოდ მცირედი ნაწილი აზერბეიჯანის ჯარისა შინაურ წესრიგის დასაცავად. მოულოდნელად და აშკარად დაესხნენ ყარაბაღის რაიონში აზერბეიჯანის ჯარების ნაწილებს შუშაში, რანკედში, ასკერანში, ხოჯედახში ტერტერში და სხ. პუნქტებში. ასკერანი, რომელსაც იცავდა 50 კაცისაგან შემდგარი რაზმი და რომელიც თავგანწირულად იცავდა მას, 22 მარტს აღებული იქნა სომხების მიერ და თვით რაზმი, ალბად, გაწყვეტილია. სხვა ნაწილებში თავდასხმა მოგერებულ იქნა სომხების დიდი ზარალით. შუშისა და ასკერანის მაღლობებს უშენდა სომხების არტილერია. მეორე დღეს შენიშნული იყო თავდასხმა სომხების შეიარაღებულ ნაწილებისა თათრების სოფლებზე ჯებრაილის და ზანგეზურის მაზრებში და ზოგიერთი ამ სოფლებთაგანი სრულიად განადგურებულ იქმნენ. მიღებულია ცნობები, რომ სომხებს მოსდით დახმარება ბაიაზეთის მაზრიდან, ერევნის გუბერნია, რომ სოფ. თოლმუნაში, რომელიც ყაზახის მაზრის ახლო მდებარეობს მოსულან სომხების ჯარის ნაწილები. ყარაბახის მუსულმანები, რომელიც ასეთ საშიშ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ასე მოულოდნელად, თავდაცვის გზას დაადგნენ ცალ-ცალკე ჯგუფებათ და ზოგიერთ ადგილებში პირველსავე დღეს გაუკმლავდნენ მოულოდნელ თავდასხმას სომხებისას, ხოლო სხვა ადგილებში განაგრძობდნენ თავდავიწყებით თავდაცვას. აზერბაიჯანის მთავრობის მიერ მიღებულია ზომები ყარაბაღში წესიერების აღსადგენად და მომავალში თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

გარეშე საქმეთა მინისტრი **ხოიელი**.
28 მარტი

**სომხეთის ნოტა მოკავშირეთა მიმართ.**

სომხეთის პრემიერმა ხატისიანმა შემდეგი დეპეშითი პროტესტით მიმართა: 1) მოკავშირეთა უმაღლეს კომისარს ჰასკელს, 2) ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს უორდროპს, 3) საფრანგეთის მისიის უფროს ამიერ-კავკასიაში ნონანკურს და 4) იტალიის მისიის უფროსს ამიერ-კავკასიაში გაბას.

„სომხეთის რესპუბლიკის წარმოშობის წუთიდან „აზერბაიჯანის მთავრობა, ოსმალეთთან შეთანხმებული, ყოველივე მოსახერხებელი საშუალებით ცდილობდა დაეპყრო სომხეთის საუკუნოებრივი მიწები—ყარაბაღი და ზანგეზური. 1919 წლის აგვისტოს 22 ს ყარაბაღის სომხობა, რომელიც იმ დროს ფაქტიურად მოწყვეტილი იყო თვისი სამშობლოს ცენტრს სომხეთს, იძულებული შეიქნა შეთანხმებოდა აზერბაიჯანის მთავრობას და დროებით ეცნო ამ უკანასკნელის ხელის უფლება, იმ პირობით, რომელთა თანახმად აზერბეიჯანი ვალდებული იყო არავითარი ჯარი არ შეეყვანა სომხის ყარაბაღში და არ განეარაღებინა მისი მცხოვრებნი.

აზერბაიჯანის მთავრობამ, დაარღვია რამდენჯერმე მის მიერ ნაკისრი ვალდებულებათაგან პირველი, რეგულიარულ და არა რეგულიარულ ძალების თავმოყრის შესახებ, ბოლოს ყარაბაღის სომხობას წარუდგინა ულტიმატუმი, განიარაღების შესახებ. მცხოვრებლებმა, ჩასთვალეს რა ამგვარი ულტიმატუმი 22 აგვისტოს მომხდარი შეთანხმების აშკარა დარღვევად, ხოლო ეს უკანასკნელი მიიჩნიეს რა სომხების წინასწარ განზრახულ ხოცვის მომასწავებლად, უარჰყვეს მათდამი წაყენებული მოთხოვნა. აზერბაიჯანმა, მიიღო რა უარყოფა, მარტის 20 შეუდგა სომეხ მცხოვრებთა ძალით განიარაღებას და ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა მხრიდან დაეცა სომხის ყარაბაღს და ზანგეზურს. სწარმოებს სასტიკი ბრძოლა. სომხეთის მთავრობა აცხადებს რა მკაცრ პროტესტს აზერბაიჯანის მიერ 22 აგვისტოს შეთანხმების დარღვევის წინააღმდეგ და ადებს რა უკანასკნელს შედეგების პასუხისმგებლობას გთხოვთ თქვენ, აზერბაიჯანის მთავრობის ამგვარი მოქმედების შესახებ, რომელთაც გამოიწვიეს საშინელი სისხლის ღვრა, დაჩქარებით აცნობოთ თქვენს მთავრობას დ მიიღოთ ზომები ყარაბაღის სომეხ მცხოვრებთა კანონიერ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მათი აზერბაიჯანის შემდეგი ძალადობისგან დაცვით.

საგარეო საქმეთა მინისტრი **ხატისიანი**.

## ე რ ო ბ ა

**ტფილისის სამაზრო ერობაში.**

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ განიხილა მანგლისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის შუამდგომლობა ადგილობრივ ფოსტის მოსამსახურეთათვის სათანადო ხორბლის გადაცემის შესახებ და დაადგინა: ერთი ნახევარი სალალო ხორბლეულობის გადაეცეს მოსამსახურეთ, ხოლო მეორე ნახევარი კი ერთიერთ დამშეულ სოფელს. ხორბალი შეფასებული იქნება ფუთი 500 მანეთად.

— სოფ. სალირაშენის (ასურეთი) რწმუნებულებმა პლ. ხუროშვილმა და ბაიდარაშვილმა თხოვნით მიმართეს ერობის გამგეობას აღნიშნულ სოფლის უკიდურეს გაჭირვების გამო დახმარების შესახებ. ერობამ დაადგინა მიეცეს სალირაშენის მცხოვრებთ 14 კომლს, თანახმად მათი რწმუნებულის თხოვნისა და წარდგენილ საბუთებისა ასი ფუთი ხორბალი ნაღდ ფულზე.

— ტფილისის სამაზრო ერობამ შემდეგი ნიხრი დააწესა სამეურნეო იარაღების მქირავებელთათვის: გუთანი 50 მან. დღეში, ფარცხი 20 მან., სათესლე მანქანა 50 მან., სანიავებელი 50 მან., სათიბი 300 მან., სამკალი 300 მან. და ვერმორელი 20 მან.

— ერობამ დაადგინა: სამინისტროდან მიღებულ ინვენტარიდან მაზრისთვის შეძენილ იქნას აგრონომიულ განყოფილების საჭიროებისათვის 15 გუთანი და ერთი სათიბი მანქანა, თავისი ფოცხით, რომელთა ღირებულება გადიწეროს აღნიშნულ განყოფილების კრედიტებში.

— გაიცეს ცირკულიარული განკარგულება რათა მთელ მაზრაში მიღებულ იქნას ზომები მეწისქვილეთაგან ფქვილის ჩამოსართმევათ—მაზრაში მყოფ მოსამსახურეთათვის შემდეგ ფასებში: პური 400 მან., ქერი 280 მან. და სიმინდი 250 მან.

— მოწვეულ იქნას ყარაიაზის რაიონის მილიციის უფროსად პროკოფი გოცირიძე.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროდან გამოსულ სამიჯნო განყოფილების უფლებრივ და ნივთიერ მდგომარეობის შესახებ ერობის გამგეობამ დაადგინა: ა) ევალება აგრარულ განყოფილებას აუცილებლად გამოარკვიოს ვისთანაც ჯერ არს სამიჯნო განყოფილების და ერობის ურთიერთი დამოკიდებულებანი მომავალში. ამ განყოფილების უფლებრივი მხარე და მისი მოსამსახურეთა ჯამაგირების საკითხი; ბ) ამ საკითხთა გამოკვლევამდე ჯამაგირები და ყოველგვარი ავანსები ეძლიოთ იმ კრედიტების ფარგლებში, რომლებიც იქნება და არის გახსნილი ერობის განკარგულებაში სამინისტროსაგან.

— გარე უბნის თემის წარმომადგენლის განცხადება დახმარების შესახებ განიხილა გამგეობამ და დაადგინა: მიეცეს გარე უბნის თემის გამგეობას დამშეულ სოფელთათვის დასახმარებლად 200 ფუთი ხორბალი ფუთი 500 მან.

გარდა ამისა გარე უბნის თემი ჩაირიცხოს პირველ რიგში იმ დახმარების გაცემის დროს, რომელსაც გასწევს მაზრის ერობა მთავრობისაგან მიღებულ სესხიდან.

შესდგეს კომისია მაზრის ერობის გამგეობისა და გარე უბნის თემის წარმომადგენელთაგან აღნიშნულ თემის დამშეულ სოფლების მცხოვრებთა მდგომარეობის ადგილობრივ გამოსარკვევად. ერობის მხრივ ამ კომისიაში მონაწილეობის მიღება ევალება გამგეობას წევს გ. 6 ლომოურს.

— ალგულაღის თემის თავმჯდომარემ გ-მა ტაბუკაშვილმა მოახსენა ტფ. ერობის გამგეობას, რომ სოფლებს: ვაკე, ქსოვრეთი, ამრამეთი, ბუჟურელეთი, აგრითი ჰალა, ტბისი, გოლთეთი და ჩხვიკვთა მოითხოვენ შეერთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ალბულახის სათემოსთან. გამგეობამ დაადგინა: შეკითხულ იქნნან აქ ჩამოთვლილ სოფლების შუამდგომლობა მათი ალბულახის თემთან შეერთების შესახებ, მანგლისის და ასურეთის თემები. ამ უკანასკნელთაგან აზრის გამოთქმის შემდეგ საკითხი დაისვას მაზრის ერობის გამგეობის სხდომაზე განსახილველად.

— გამგეობამ დაადგინა: გარდა ჩვეულებრივ მორიგ სხდომებისა, რომელიც იმართება ორშაბათობით და პარასკეობით იმართებოდეს სხდომები ოთხშაბათობითაც დილის 9 საათიდან შაბათის სხდომის მაგიერ.

— ივრის თემის გერმანულ ახალშენის მცხოვრებთა შუამდგომლობის შესახებ, რომლებიც მოითხოვენ გაერთიანებას ერთ ახალშენის სახით—მარიენფელდის სახელწოდებით—გამგეობამ დაადგინა: შეკითხულ იქმნას ივრის თემი და მოეთხოვოს მას ზოგიერთი საჭირო ცნობები.

## თიანეთის მაზრის ერობის

### ხმოსანთა მესამე ყრილობა

(ერთი თვალის გადავლებით)

(დასასრული)

**მომავალი სამოქმედო გეგმა.**

შემდეგ სხდომებზე გამგეობამ გადაუშალა კრებას მომავალი მოქმედების სურათი. ვლ. პაპავამ მოახსენა მილიციის გარდაქმნის, თემების გამოჭრის, სწავლა-განათლების შესახებ.

მაზრაში უნდა შეიქნას ხუთი თემი, თითოს ეყოლება 30—45 ხმოსანი. თიანეთის მაზრა 4,000 კვადრ. ვერსი არის; დიდია მაზრა, ცოტაა მცხოვრები, სულ 37,000-მდე. თემი ჯერ-ჯერობით ვერ იქნება სრულუფლებიანი, სანამ წელს მოიმაგრებს და მუშაობაში გაიწაფება. შემდეგ კი მას გადაეცემა ყველა ადგილობრივი საქმეები თანდათანობით. ამ რიგათ ეს თემი იქნება თვითმართველობისა და მმართველობის პირველი საფეხური, მეორე საფეხური იქნება მაზრის ერობა, მესამე ცენტრალური მთავრობა.

თემს ეყოლება თავისი მილიცია, მაზრის ერობას მილიციის მეორე საფეხური,—მაზრის მილიცია. სოფლის საზოგადოებებში იქნება თითო რწმუნებული 1—2 მილიციონერით.

ყრილობამ დაადასტურა ეს, გადასდო თემების გამოსაჭრელ საორგანიზაციო ხარჯებისთვის 50 ათასი მანათი და ერობის გამგეობას მიუმატა სამი კაცი ამ საქმის მოსაწყობად სამუშაოდ: ვ. ჩხაიძე, ალ. დოლიაშვილი და გ. გელოვანი.

თემებს სესხად უნდა მიეცეს 50 ათასი მანათი თითოს პირველ ხარჯებისთვის.

სახალხო განათლების საქმე ამ წელს ასე უნდა მოეწყოს; დ. თიანეთში გამგეობა იწყებს რვა-კლასიან სამაგალითო სახალხო სკოლის შენებას, პანსიონით და მასწავლებელთათვის ბინებით. სკოლის აშენება ორ წელიწადში უნდა დამთავრდეს.

1. ახმეტაში უნდა გაიხსნას უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი; ს. შუაფხოს და ბარის-ახოში შეკეთდეს სოფლის კანცელარიები და გაიხსნას შიგ ახალი სკოლები, აგრეთვე სოფელ სიონში გაიხსნას სკოლა, ორი ახალი მასწავლებლის შტატი მიემატოს ახმეტაში და მატანში და სხვა. სკოლის გარეთ განათლებისთვის იხსნება საღამოს კურსები თიანეთში და ახმეტაში, საკვირაო სკოლოები კი ყველა სასწავლებელთან.

ამ ზაფხულში დ. თიანეთში მოეწყობა საზაფხულო პედაგოგიური კურსები და სხვა.

ყრილობამ მოიწონა და დაადასტურა ყველა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. საექიმო-სანიტარო, აგრონომიულ და საბეითლო დახმარების საქმეში გამგეობამ წარუდგინა ყრილობას დასაბუთებული გეგმები და ხარჯთ-აღრიცხვანი: უნდა გაიხსნას მაზრაში სამი აფთიაქი: თიანეთში, ახმეტაში და ერწოში, მოწვეულ იქნას ექიმები, ბეითლები, ფერშლები, და თუ ვერ ვიშოვეთ, მაშინ ეთხოვოს მთავრობას რომ ბევრის წესით ამსახურონ აქ ექიმ-ფერშლები. გაიხსნას თიანეთში საავათმყოფო.

დაარსდეს აგრონომისა და ტეხნიკების თანამდებობანი, საცდელი მინდვრები და სხვა.

გზების გაყვანისა, ტელეფონის ქსელის გაფართოებისა და აგრარულ რეფორმის შესახებ გამგეობას შეუმუშავებია დაწვრილებითი გეგმები და ხარჯთ-აღრიცხვები. მაზრაში უნდა გაკეთდეს გზები: ერწო-გლდანის მიმართულებით, ბულაჩაურით და ახმეტისკენ. აგრეთვე საურმე გზა ხევსურეთისკენ: ჯერ-ჯერობით კხოტის ძირამდე, იმას იქით ცხენის გზა ბარის-ახომდე.

ტელეფონის ქსელი გაიბას ყველა დასახლებულ ადგილებისკენ და სხვა. ყრილობამ მოიწონა და დაადასტურა ეს ერთხმად.

ფრიად ფართო და მდიდარი მასალა წარმოუდგინა კრებას გამგეობამ მუნიციპალურ წარმოებათა მოწყობის შესახებ. გამგ. წევრმა პრ. დოლიძემ ყრილობას მოახსენა ამ დარგში მომავალი მუშაობის შესახებ. უნდა აიგოს ჰიდრავლიური სადგური თიანეთის ახლო მდ. იორზე; ამ სადგურმა უნდა აამუშაოს დ. თიანეთში ხერხის ქარხანა, საქსოვი ქარხანა, ნაბდის სათელი მაშინა, აბანო და სხვა.

ჩვენი მაზრა მდიდარია ტყეებით, მატყლით, საქონლით; წყლის ძალით ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა ეს. საჭიროა მხოლოდ სურვილი, მხნეობა, ენერგია, ამბობს დოლიძე. მას სწამს ეს საქმე, ის გატაცებით ლაპარაკობს ამას და ციფრებით და ნახატებით შეიარაღებული უმტკიცებს ხმოსნებს ამ საქმეების მოწყობის სრულ შესაძლებლობას.

„თეთრი ნახშირი!“ ვფიქრებდი მე. აი, სად უნდა ვაჩვენოთ, ჩვენი ძალა ქვეყანას!

ეს წარმოებანი ერობას დიდ შემოსავალს მისცემენ, მაზრასაც გამოაცოცხლებენ, ამბობს დოლიძე, უბრალო რამე საქმე—აბანოც კი არ გვაქვს თიანეთში, ჩვენ დაბოლოს ამასაც მოვაწყობთ ჩვენი ჰიდრავლიური სადგურის ძალით!

(„წყალი თუ ვიშოვეთ, ბიძავ!“ მოწონების და გამხნევების ნიშნად ჩაილაპარაკებს ვ. ჩ-ძე, რომელიც ყრილობის ოქმებს სწერს).

უცქერით ყველა ამას და არ გჯერათ თითქოს; როგორ შეიცვალა ჩვენი ცხოვრება! ხალხი თავის საქმეს თითონ აკეთებს, ხალხის შვილები წინ მისწევენ ჩვენს ცხოვრებას და შორს აღარ არის დრო სრული განახლებისა.

მოკლე დროში ერობას ბევრი რამ გაუკეთებია; უფრო მეტი საქმე წინ უდევს. აი, ის ოცნება, რომლისთვისაც ჩვენ ბევრი ბაეი და ბევარა გადაგვახდევინეს ციხეებში და ციმბირში! აი, ყველა ის, რაც არ ღირსებია თვით იმ 34 გუბერნიასაც კი რუსეთში, სადაც ერობა კიდევაც არსებობდა!

ეს მესამე ყრილობა მართლა, რომ საქმიანი იყო. 28 მილიონიანი ხარჯთ-აღრიცხვა წარუდგინა გამგეობამ ყრილობას. ამათში შემოსავლის კარგა დიდი ნაწილი მუნიციპალურმა წარმოებლებმა უნდა მოგვცეს. 8 მილიონამდე კი ხალხი უნდა დაიბეგროს. უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა ოპოზიციის შეკითხვები და მოსმენილ იქნა პასუხები გამგეობისა. ყრილობამ ხმის უმეტესობით პასუხი დამაკმაყოფილებლად იცნო.

**გარეშე.**

## უცხოეთი

**სამხრეთ-სლავიანეთის ახალი კაბინეთი.**

პრინც-რეგენტმა მოიწონა ახალ კაბინეთის შემადგენლობა. ახალ კაბინეთში შედიან: პრემიერ-მინისტრი-პროტიჩი, ძველი რადიკალი, მინისტრთა საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი და გზათა მინისტრი-კოროშეცკი-მეთაური კლერიკალური პარტიის; შინაგან საქმეთა მინისტრი-ტრიფკოვიჩი, ძველი რადიკალი; გარეშე საქმეთა მინისტრი-ტრუმბიჩი ან ექსპელაიკოვიჩი ვაჭრობის-რიბარაცი-ნაციონალისტი; ფინანსთა-იანკოვიჩი, ძველი რადიკალი; ტყის და მადნეულობის-კრასნიცა, კროტსკის ნაციონალურ კლუბის წევრი; მომარაგების-სტამბინი, ძველი რადიკალი; ჯანმრთელობის-მილეტიჩ ძველი რადიკალი, განათლების-ტრიფუნოვიჩი-ძველი რადიკალი, მიწათმოქმედების-რობხაბი, კლერიკალი, იუსტიციის-ნინჩიჩი.

**მრეწველობის განვითარება იაპონიაში.**

იაპონიაში მრეწველობის განვითარება ჩქარი ტემპით მიდის. 1919 წლის განმავლობაში იაპონიამ ბაბის დაზგების შესაძენათ ინგლისიდან მიიღო ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი.

**ამერიკა და რუსეთი.**

რუსეთს და ამერიკის შორის ვაჭრობა-მრეწველობის ურთიერთობა განახლდა. რეველში ჩავიდა ამერიკის ეკონომიური კომისია, რომლის მიზანია რუსეთის ეკონომიურ პირობების გაცნობა.

**რობერტ სესილი რუსეთის და ხალხთა ლიგის შესახებ.**

გაზეთ „ოპინიონ“ს მოჰყავს რობერტ სესილის შეხედულობა რუსეთზე და ხალხთა ლიგის შესახებ. სესილის აზრით ბოლშევიკებს მოკავშირეებმა თავი უნდა დაანებონ და მოუცადონ მათ პოლიტიკის შედეგებს. სესილს სჯერა, რომ ბოლშევიზმი არ მოედება დასავლეთ ევროპას. არც ინგლისის და არც საფრანგეთის ხალხი არ წავა იმ გზით, რომლის რეალური განხორციელება შეუძლებელია. რაც შეეხება ხალხთა ლიგას სესილი მასზე დიდ იმედს ამყარებს. ხალხთა ლიგამ, ამბობს სესილი, უნდა იარსებოს და გადაიქცეს იგი რეალურ ძალად. ხალხთა ლიგას მარცხი რომ მოუვიდეს-ეს მთელი მსოფლიოს მარცხი იქნება. მაშინ ევროპის ცივილიზაცია საფრთხეში ჩავარდება და ყოველივე ამის მაშინ ჩვენ ვიქნებით დამნაშავენიო.

**ყუბანის მთავრობა გაგრაში.**

უკანასკნელ მიღებულ სარწმუნო ცნობების გადმოცემით ყუბანის მთავრობა ივანისის მეთაურობით ჩასულა გაგრაში. ყუბანის არმიამ დაუბრკოლებლად გაარღვია შავი ზღვის ლაშქრის ფრონტი და დაიჭირა ტუაპსე.

**ტუაპსის რაიონში.**

ტუაპსეს რაიონში ამ ჟამად სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ყუბანის არმია უტევს ორ ფრონტზედ- სამხრეთით, ლაზარევის მიმართულებით შავი ზღვის გლეხთა ლაშქრის მიმართ და ჩრდილოეთით, გელენჯიკის ქვეით-მწვანე და წითელ არმიელებისკენ. ჩრდილოეთით ყუბანის არმია თავდაცვითი ბრძოლას აწარმოებს. ბრძოლა მედგარია და სასტიკი.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტოსაგან)

**სამხედრო ცნობა:** სამხრეთის ფრონტი. პოდოლის-კამენეცის რაიონში ჩვენმა ჯარმა ქალ. ენსის სამხრეთით 10—20 ვერზე სოფლები აიღო. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

**კავკასიის ფრონტი** ნოვოროსისკის რაიონში ჩვენი ჯარი გელენჯიკის სამხრეთით შავი ზღვის ნაპირზე გამოვიდა. მაიკოპის რაიონში ტუაპსის რკინის გზაზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და წინ მიიწევს. პეტროვსკის მიმართულებით ჩვენ მდ. ხულაკს მივაღწიეთ.

**ამერიკული ცნობები.**

გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნის“ კორესპოდენტი სწერს: ნება მიბოძეთ აგიწეროთ თქვენ № 2 ლენინი ბატონი ერნესტ დეიმიგი, რომელიც ეხლა გამოჩნდა ჰორიზონტზე. გერმანიის რევოლიუციონური ჰორიზონტის განხილვა მისი დახასიათებიდან უნდა დავიწყოთ. ყველა მის გარშემო მდგომ პირებს ჩქმალავს მისი პიროვნება. იგი თითქმის განსვენებულ ლიბკნეხტის მოადგილეთ შეიძლება ჩაითვალოს. დეიმიგი არის ლიდერი დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიისა, რომელიც ეხლანდელ ეროვნულ კრებაში წარმოდგენილია 22 წევრით. იგი გამოვიდა ფრაქციის უკიდურეს მემარცხენეთა ფრთიდან და პრაქტიკაში ისე ახლოს სდგას კომუნისტებთან, როგანსხვავება მეტათ მცირეა. კაპის გადატრიალების გაცხარებულ ხანაში, როდესაც ბერლინი შეიარაღებულ მონარქისტების ხელში იყო და ებერტის მთავრობა გაიქცა მაშინ დეიმიგმა მოაწერა ხელი პროკლამაციას, სადაც ხალხს „ლიუტვიცის ძალების“ წინააღმდეგ პროლეტარულ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. დეიმიგი ეხლანდელ მთავრობისაგან მოითხოვს მთავრობის იმ ჯარების განიარაღებას, რომელიც რურის ოლქში ებრძვის ბოლშევიზმს და იარაღის გადაცემას პროლეტარიატისადმი, როგორც სრულნდობის გარანტიას. ის მოითხოვს კაპისტების მკაცრ დასჯას და იმუქრება მთელ გერმანიაში ახალი საერთო გაფიცვის გამოცხადებით, აშკარათ მოითხოვს ეხლანდელ მთავრობის საბჭოებით შეცვლას იმ მიზნით, რომ არა თუ მრეწველობა, არამედ გამგებლობა, განაწილება და მოხმარება იყოს მხოლოდ და მხოლოდ კონტროლის ქვეშ. უეჭველია, რომ გერმანიაში დაწყებულ კომუნისტურ მოძრაობას ხელს უწყობენ რუსი ბოლშევიკები. უეჭველია, რომ გერმანიის რევოლიუციონერებმა რუსეთიდან მიიღეს ფული და დირექტივები, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გერმანიის და რუსეთის კომუნისტებს შორის განსხვავება სახელმწიფოს მართველობის საკითხშია. რუსეთის საბჭოთა პოლიტიკის ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ საბჭოები არის უფლების წარმომადგენელი, დეიმიგის პროექტით კი მას სურს, რომ მთავრობაში შევიდნენ მშრომელთა სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები და ისინი, ვინც თავის ხელით მუშაობენ. სხვაგვარათ რომ ვსთქვათ, როგორც დეიმიგის მიმდევრები ამბობენ, მაშინ, როდესაც რუსეთის საბჭოები მარტოთ და მარტოთ პოლიტიკური ხასიათის არის, გერმანიის, „რეტე“ საბჭოები უმთავრესად ეკონომიური ხასიათის იქნება და ეს მოუხედავად საერთაშორისო სავაჭრო ქიშპობის პლანის მოსპობისა. დეიმიგმა, რომელიც შესახედავათ მკაცრი კაცია, განაცხადა მთელ ქვეყნის კაპიტალისტურ პრესისადმი თავისი ზიზღი, მის სიცოცხლესა და თავისუფლებას ხშირად ემუქრებოდენ ამ უკანასკნელ თვეებში, იგი იდეალისტია, მაგრამ შეუდრეკელი ნებით ხელს მოჰკიდებს ყოველგვარ საშუალებას, რომ თავის მიზანს მიაღწიოს. მას აქვს პრუსიული შეუდრეკელი ხასიათი და მზათ არის მკვლელობაც ჩაიდინოს, თუ კი ეს საჭირო იქნება. რევოლიუციონურ ბრძოლის ამ 15 თვემ სრულებით გაანადგურა გერმანიის ეკონომიური ცხოვრება. სთქვა მან. ძველი წყობილებიდან არაფერი აღარ შეესაბამება დროს, აღორძინების არც ერთი ძველი ზომა აღარ ვარგა ჩვენ საქმეთა გასანჯასაღებელათ. ებერტისა და შიფერის კოალიციურმა მთავრობამ გამოიჩინეს მთელი თავისი საბრალო სიუძლურე, როგორც ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით. მან ვერაფითარ შემთხვევაში ვერ შესძლო მდგომარეობისათვის თავი გაერთვა. კაპისა და ლიუტვიცის აჯანყება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ებერტის მთავრობა სუსტი იყო და იგი უძლური გამოჩნდა მომწიფებულ მონარქულ მილიტარისტულ რეაქციის წინაშეც კი. იგი გაიქცა. მარტო მუშათა სოლიდარობამ შესძლო კაპისა და ფონ-ლიუტვიცის რევოლიუციის დამხობა. ეხლა ჩვენი ვალია ვიზრუნოთ იმაზე, რომ ებერტის მთავრობა შეიცვალოს ხალხისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარების მთავრობით.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

**„ცისარტყელა“, ყოველთვიური ჟურნალი, № 1, 2, და 3.**

პოლიტიკურ ცხოვრების აღორძინებასთან ერთად ჩვენში აღორძინდა ლიტერატურული ცხოვრებაც. კარგა ხანს მიჩუმებული და დაგროვებული ძალა ხელოვნების სფეროში უკვე მჟღავნდება და იჩენს თავს. საკმარისია ჩამოვთვალოთ ამ ერთი წლის განმავლობაში გამოსულ ჟურნალების სახელები—„ცისარტყელა“, „მეოცნებე ნიამორები“, „ლეილა“, „შვიდი მნათობი“, „შვილდოსანი“—რომ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჩვენი ხელოვნების რენესანსი უკვე დაიწყო. ჟურნალების გარდა ქართველ მკითხველს შეძლება აქვს გაეცნოს სამშობლო ლიტერატურას იმ წიგნებით, რომლებიც გამოუშვეს ამ უკანასკნელ ხანებში ქართველმა მწერლებმა: გალაკტიონ ტაბიძე—მეორე ტომი, ობოლი მუშა—ლექსები, ვალერიან გაფრინდაშვილი—დაისები, ვარლამ რუხაძე—ცხოვრების ყვავილები, მ. ბოჭორიშვილი—ეტიუდები, დია ჩიანელი—შემოდგომის ცრემლები და მრ. სხვა.

ყველა ამათ ჩვენ შემდეგ შევეხებით. ამ წერილის მიზანია მხოლოდ ჟურნალ „ცისარტყელას“ გაკვრით განხილვა.

როგორც ვიცით, ჟურნალი თითქმის მუშათა ფულით გამოდის. ეს უკვე მას ამტკიცებს, რომ ქართველი მუშა გულწრფელათ დაწაფა კულტურას. ეს გარემოება ზედმეტ სიყვარულს იწვევს ამ ჟურნალისადმი. ამ გარემოების გამო ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვაპატიოთ ამ ჟურნალს ის ზოგიერთი ნაკლი, რომელიც მას აქვს.

ჟურნალმა თავი მოუყარა ყველა ცნობილ ქართველ პოეტს და მწერალს.

ს. აბაშელის ლექსები „ცისარტყელას“ სამივე ნომერში ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას იპყრობენ. განსაკუთრებით კარგია მეორე ნომერში მოთავსებული ლექსი. უკანასკნელს ხანებში ს. აბაშელის პოეზიას მრავალი წერილი ეძღვნა, ამიტომ ჩვენ არ შეუდგებით მის ხელახალ გარჩევას და შეფასებას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ლექსებით იწყება მეორე პერიოდი ს. აბაშელის პოეზიაში—პერიოდი ინტიმის და დარბილების. მისი პირველი წიგნი არის მზის მღერა,—აქ კი პოეტი თავის თავს დაუბრუნდა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისეთი ნიჭიერი პოეტი როგორც აბაშელია, კიდევ ბევრს მარგალიტებს შესძენს ქართულ პოეზიას.

ს. აბაშელის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ ხ. ვარდოშვილის, ვ. რუხაძის, იასამანის, ქუჩიშვილის და ობოლი მუშის ლექსები.

შ. არაგვისპირელის მოთხრობა ლამაზი პსიქოლოგიური ზღაპარია. ეს მოთხრობა არ არის დამახასიათებელი არაგვისპირელის შემოქმედებისა, ის შემთხვევითია მის შემოქმედებაში, მაგრამ როგორც მოთხრობა, ცალკე აღებული, ლამაზია, მხატვრულათ დაწერილი და გასაგები. ამ მოთხრობაში მწერალი გვაცნობს თავის აზრს ხელოვნებაზე და ხელოვანზე.

2/60 / 759

ალსანიშნავია აგრეთვე ივ. გომართელის კრიტიკული წერილები, ტრ. რამიშვილის დრამატიული ნაწარმოები და პაპავას წერილები თეატრის შესახებ.

ჟურნალის გამოცემას და შრიფტს არა უშავს რა. რაც შეეხება ყდას, უნდა ვსთქვა, რომ ის ცოტა მოაგავს იაფ ფასიან ლუბოკს და კარგს იზამს რედაქცია თუ შესცვლის მას.

**„შვილდოსანი", ლიტერატურული ჟურნალი, № 1, 2 და 3. „ნიამორები", ლიტერატურული ჟურნალი № 1, 2 და 3.**

ამ ჟურნალების სახე საკმაოთ გამორკვეულია და მათი ალნიშვნა ლიტერატურული კრიტიკის ვალდებულებაა. ამ ორი ჟურნალის შესახებ მრავალი წერილი დაიწერა, კარგიც ითქვა და ცუდიც. მათ ეძლვნა გრ. რობაქიძის, ივ. გომართელის, ტ. ტაბიძის, ნ. მიწიშვილის, ვლ. ბაქრაძის, დევდარიანის და სხვათა ფელეტონები. აქედან უკვე საკმაოთ სჩანს თუ რა ინტერესს იწვევს ეს ჟურნალები ლიტერატურულ წრეებში. აქ თავს იყრის ქართული ლიტერატურის ახალგაზრდა კულტუროლი ძალები.

ჩვენი მიზანია არა ჟურნალებში მოთავსებული მასალათა გარჩევა—ჩვენ მხოლოდ საერთოთ შევეხებით ამ ჟურნალებს.

ორივე ჟურნალის ტეხნიკური მხარე სრულიად დამაკმაყოფილებელია,—თუმცა ეს უფრო ითქმის „ნიამორებზე".

პოეზიის განყოფილებაში მეტ ყურადღებას იქცევენ გრ. რობაქიძის, ვალ. გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, ნ. მიწიშვილის, კოლაუ ნადირაძის (განსაკუთრებით „შვილდოსანში" № 2-3) და პაოლო იაშვილის ლექსები. პროზაში კი ნ. ლორთქიფანიძის და სხვათა. განსაკუთრებით იაშვილის შესახებ შეიძლება თამამად ითქვას, რომ მიუხედავათ მის მიერ ჩვენ პოეზიაში შემოტანილ „ცისფეროვნებისა", ის მაინც უდავოთ ლამაზი ნიჭით დაჯილდოვებული პოეტია და მისი ფერები მომავალში უფრო დინჯ სახეს მიიღებენ.

ალსანიშნავია აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილის, შალვა აფხაიძის, სანდრო ცირეკიძის და ტიციან ტაბიძის წერილები.

კოლაუ ნადირაძის წერილები კარგი იქნებოდა, რომ ავტორი ასე გაცხარებული არ იყოს.

ჯვარის გადასმა რუხაძის, შანშიაშვილის და გრიშაშვილის პოეზიისა მოწმობს ავტორის უმწიფობას, ჩაუკვირებლობას და გამოუცდელობას. ამას გარდა უნდა ვამხილოთ ავტორი ერთ კადნიერებაში: როცა ის სწერს: „აგრა[rul] საკითხში ჭკუა დაქნილი კრიტიკოსებიო",—ვინ ჰყავს მას სახეში? ნუ თუ ნატივცემული კრიტიკოსი ექიმი ივანე გომართელი, რომელიც მართალია აგრარულ საკითხებზედაც სწერს წერილებს, მაგრამ საკმაოთ ცნობილია როგორც კრიტიკოსი?! ცნობილ კრიტიკოსს, მწერალს, დრამატურს და ჟუნაზეს „უბრალო საუბარი მუშა ხალხთან"—ფელეტონების ავტორს ახალგაზრდა მწერალისაგან ეს განა ეკადრებოდა?!

**აქეთური.**

# სხვა და სხვა

✦ ქალაქის მოურავმა განკარგულება გასცა ქალაქის სავაჭრო სასურსათო ზედამხედველებისადმი, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხორცისა და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნების გადამალვას. მათვე დაევალათ დაუყონებლივ აცნობონ ქალაქის მოურავს ყველა შემთხვევა ალნიშნულ საგნების გადამალვის შესახებ, რომ ალმოჩენილი საქონელი გაიყიდოს მცხოვრებთა შორის, ისაა ნახევარზე მეტ ფასებში.

✦ სომხეთის მთავრობის კაბინეტში ცვლილება მოხდა: გარეშე საქმეთა მინისტრის პორთფელი ჩაბარდა აბო ოგაჯანიანს, ა. ხატისოვმა (ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი) თავი დაანება თანამდებობას.

✦ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი მარტის 30-ს ჩამოვიდა ბაქოდან ტფილისში.

✦ ქუთაისიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ქუთაისში ყოველ დღე ჩამოდიან ლტოლვილები. მათ შორის არიან ყუბანელები, პოლონელები, სომხები, უკრაინელები, სპარსელები და სხვანი. ყუბანელები დაბინავდენ, დანარჩენები თავთავიანთ კონსულებთან მიემგზავრებიან მოსალაპარაკებლად. ლტოლვილთა მდგომარეობა მეტად გართულებულია უსურსათობით.

✦ მარტის 30-ს ტფილისში რიგიდან ჩამოვიდა ლატვიის არმიის შტაბის მთავარ სარდალი კაპიტანი რაცენსი, რომელიც დანიშნულია კავკასიაში ლატვის არმიის წარმომადგენლად.

✦ ქალაქის გამგეობა იწვევს ერთს ექიმს ქირურგს ცენტრალურ სამკურნალოს ორდინატორად. თხოვნები და curric. virtae მიიღება ქალაქის გამგეობის სანიტარულ განყოფილებაში 5-თ აპრილამდე.

✦ ლატვიის მთავრობამ საქართველოში კონსულად დანიშნა ოსკარ ბუმანი, რომელსაც რწმუნებულობა ჩამოუტანა 30 მარტს რიგიდან ლატვიის სამხედრო ატაშემ კავკასიაში.

✦ სიღნაღიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: მოვისმინეთ რა მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის აკაკი ჩხენკელისა, სიღნაღის მცხოვრებთა მრავალ რიცხოვანი კრება სალამს უძლვნის დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას და უსურვებს გამარჯვებას, როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკაში. კრება მოითხოვს, რომ ეკონომიური კავშირი დაიჭირონ ევროპასთან და გვაზიარონ ევროპის კულტურასთან. სოლიდარული კავშირი დაიჭირონ აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოებთან. ბათუმი, როგორც განუყრელი ნაწილი საქართველოისა დაუბრუნდეს დედა საქართველოს. ჩვენ ყოველივე ჩვენის ძალ-ღონით დავიცვათ საქართველოს დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართ. კრების თავმჯდომარე სიკო აბმეტელაშვილი.

# ნიხრი

დამტკიცებული ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მიერ მარტის 26, 1920 წ.

ძროხის ხორცი გირვანქა 20 მან. ბითუმად 780 მან. ტვინი 12 მან. 50 კაპ., ენა 13 მ. 50 კაპ., თავის ხორცი უძვლო 8 მან., თირკმელები 7 მ. 50 კ. ბითუმად 6 მან. 60 კ., გული 8 მ. 30 კ. ბითუმად 7 მ. 85 კ., ფილტვები 7 მ. 30 კ., ნაწლევები 6 მ., ფილე 25 მ. კამეჩის ხორცი 15 მ. გირ. ბითუმათ 580 მ., ცხვრის ხორცი 22 მ. ბითუმად 860 მ., (შენიშვნა: აკრძალულია თავის ხორცის დაწონვა. სხვა ნაწილები შეიძლება დააწონონ), ღორის ხორცი უტყავო 18 მ., ტყავიანი 20 მ., მოხარშული 21 მ., თავის ხორცი 9 მ., ვიჩინა გვერდის 45 მ. გირვანქა, უკანა ბარკალი 55 მ., მოხარშული ვიჩინა კარგი ხარისხის 65 მ. გირვანქა, დაბალი ხარისხის 60 მ., ქონი დაწმენდილი 48 მან. გირვანქა, დუმა 50 მან., ღორის ქონი 50 მ., დაწმენდილი ღორის ქონი 80 მ., გადამდნარი 70 მ., ტეხნიკურად ქონი იყოფა სამ ხარისხად: 1 ხარისხის 1000 მ. ფუთი, 2 ხარის. 500 მ., 3 200 მან.; თევზეულობა სუდაკი მარილიანი 9 მ. გირვ. უმარილო 12 მან., კიტუმი 9 მან., ზუთხი 30 მან., ლოქო 15 მან.; ლობიო წითელი 10 მ., გურული 11 მან.; ხახვი 8 მ., გირვ., კარტოფილი 10 მან., კვერცხი ცალი 4 მ., რძე 8 მ., დაფქვილი მარილი 3 მან., დაუფქველი 2 მან. 50 კ., ნახშირი ბითუმად 55 მ. ფუთი, ნაწილად 60 მ. ფუთი. ნიხრი უეჭველად გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩენ ადგილზე. ნიხრის დამრღვევი სამართალში მიცემული იქნება.

## განცხადებანი

# ტფ. მიხეილის სახელობის სამკურნალო

ამით აცხადებს, რომ ამ ჟამად თავისუფალია უმცროსი ორდინატორის ადგილი თერაპევტიულ განყოფილებაში. ამ ადგილის დაკავების მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა ამა წლის 5 აპრილამდე უფროს ექიმის სახელზე თავის ცხოვრების დაწვრილებითი აღწერით (curiculum vitae). 39[illegible]

გრიგოლ მიხეილის ძე ხარაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა წიგნაკი, მიცემული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან № 3, რომლითაც [illegible] ხმარებას და წმ. ჯვრის [illegible] ხარისხის მოწმობა № 156537 გაუქმებულათ ჩაითვალოს 490 3—1

დაიკარგა ნებართვა 415 ვედ. ღვინო, მიღებული მომარაგების სამინისტროდან 1920 წლ. წლ. 6 მარტს მაკარი აბაშიძისა და ბიქტორ ჩიქვილაძის სახელზე. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს ზესტაფონში მაკარი აბაშიძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 564 3—1

ტფ. მაზრის ერობის ტეხნიკი ნიკოლოზ მიხეილის ძე პაპიძე აცხადებს, რომ მან სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს დაჰკარგა „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი № 49140. მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს ტფ. მაზრის ერობაში. 565 3—1

სიმონ გიორგის ბაქრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიცემული სამხედრო მაზრის აღრიცხვის უფროსის მიერ № 129 შესახებ ვადის გადადების გაუქმებულათ ჩაითვალოს. 273 3—1

იასონ ვლადიმერის ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი მოწმობა უნივერსიტეტის კანცელარიიდან 10 იანვარს 1917 წ. № 412, პასპორტი მოცემული ქუთაისის სათავად-აზნაურო დეპუტატების კრებიდან 1915 წ. სექტემბერში, სამსახურის სია, მოცემული მთავარ კომიტეტიდან რუსეთის ქალაქის და ერობების კავშირიდან მისი რევიზორათ ყოფნისა კავკასიის ფრონტის საინჟინერო-ამშენებელი დრუჟინებისა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 274 3—1

4 თებერვალს 1920 წ. მე-277 ნომრით ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტმა ნებადართო თ. ვ. ლენციკის, მის მიერ წარმოდგენილ სავაჭრო ნიშნით განსაკუთრებულ სარგებლობისა ათი წლის ვადით. 492

**საქართველოს სახაზინო რკინის გზის სამმართველო** ა. წ. 1 აპრილს მიიღებს განცხადებებს იმ პირებისაგან, ვისაც სურთ იჯარით ერთი წლის ვადით ხელის ბარგის შესანახავი კამერა სადგურ ტფილისში. პირობების შეტყობა შეიძლება სამმართველოში, კომერციულ ნაწილში. 367 2—2

დარეჯანა სიმონის სულიცინცაძისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული სალექციო წიგნაკი № 1835. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 596 3—2

სტუდენტი ივანე სპირიდონის ძე კანდელაკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული № 940. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 586 3—2

ჯაფარ სადიკ უმბათ ზადე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის ატესტატი, მიღებული ტფ. მეხუთე გიმნაზიიდან და მეტრიკული მოწმობა, მიღებული ტფ. შიიტების სამართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 593 3—2

გიორგი ნიკოლოზის ძე ბაქრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წიგნაკი № 61 მოცემული ტფილისის სამაზრო ერობის მოსამსახურეთა კავშირის საწყობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს, 592 3—2

კონსტანტინე თედორეს ძე გაბისოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 595 3—2

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი შესაძენად 1909 ან 1910 წელში გრიგორი ვასილის ძე დანილოვისაგან ხაზინიდან სახაზინო მამულების და იჯარით გასაცემ ადგილების მეთვალყურის სახით ბათუმის ოლქის მე-7 რაიონისა ლიპინსკისაგან სახაზინო მიწის ნაწილის, რომელიც შესდგება „ზელიონნი მისის" („Зеленный мысъ") მდებარეობაში მახინჯაურის აგარაკში კინტრიშსკის ნაწილში ბათუმის ოლქის და ეს ნასყიდობის წერილი ჩანიშნულია გეგმით № 9, მობ[illegible] წიგნში № 2/42, 2271 კვ. საჟენის სივრცით, შემდგარია ბათუმის ნოტარიუსთან. 555 3—2

დაიკარგა პასპორტები მიღებული ახალციხის სამმართველოდან. 1. გრიგორ მუთაფინის და გაიანე მუთაფინის სახელზე. 2. შულაკოტ სააკას ასული ნაზარეტიანცის სა ხელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 572 3—2

გრიგოლ დათას ძე ცირკვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან № 23300. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 573 3-2

1920 წლის მარტის 6-სა, ქ. ტფილისის 8-ე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ტფილისის მოქალაქე პეტროს მიკირტუმას ძე იზხანიანცის ქონებაზე მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრებ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 442 1—1

ეკატერინა ალექსანდრეს ასული მინდიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი და მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 600 3—1

იულია ალექსანდრეს ასული მისლავსკაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საცხოვრებელი მოწმობა № 1528, მიცემული საქართველოს კონსულის მიერ ქ. ნოვოროსისკში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 601 3—1

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი გიორგი ივანეს ძე ტაბლიაშვილის სახელზე № 2324. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 602 3—1

ივანე მიხეილის ძე სუმბათოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. პეტროგრადში № 250. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 562 3—1

მარია მიხეილის ასული სუმბათოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან № 450. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 563 3—1

ალექსანდრე გრიგორის ძე მელქუმაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვაჭრობის ნებართვა № 771, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან და ქალაქის კასაში 1500 მან. შეტანის კვიტანცია. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 375 3—2

დავით ბოგდანოვის ძე ავან-იუზბაშევმა დაჰკარგაგირავნობის მოწმობა, რომელიც უნდა წარედგინა გირაოდ სააქციზო გამგეობაში, რომელიც დამტკიცებული იყო უფროსი ნოტარიუსისგან ტფილისის ოლქის სასამართლოსი 1910 წ. 15 ოქტომბრის თარილით № 2306. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 576 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ხარი[illegible] მიხეილის ასული ხურდენკოს სახელზე [illegible] მტკიცებული უმცროსი ნოტარიუსი მიტკევიჩთან 1911 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 579 3—2

კავკასიის სინოდალური კანტორა თანახმად მისი დადგენილებისა 17 მარტის 1920 წ. № 99 იწვევს მიტროფანე ტიმოფეის ძე ნიკოლაევს სინოდალურ კანტორაში, რომ კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გაზეთში მოთავსებისა, კანტორის მიერ მისა და მის მეუღლის ალექსანდრა ნიკოლაევის განქორწინების შესახებ გამოტანილ დადგენილების ხელის მოსაწერათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ალნიშნულ ვადაში გამოუცხადებლობის გამო, დადგენილება № 99 შესრულებული იქნება. 536 3—2

ალექსი გიორგის ძე დვალიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული კავკავის დარაჯთა სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 597 3—1

არუსიაკ ავეტიკას ასული ტევანიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. № 22832. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 598 3—1

ალექსანდრე სერგოს ძე ზურაბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიციის სამმართველოდან № 876. 8 დეკემბერს 1904 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 569 3—2

გვარდიელი ლუკა დიმიტრის ძე გუგულაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამსახურის წიგნაკი, მიღებული 1 რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 570 3—2

ივანე მიხეილის ძე გრეჩკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული მეთერთმეტე უბნის კომისარიატიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 561 3—2

სილიბისტრო გიგოს ძე ბუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მუდმივი პასპორტი სოფ. ღანირის (ქუთ. გუბ.) საზოგადოების სამმართველოდან 1912 წელში № 279. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 525 3—2

პავლე პეტრეს ძე გოგნიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან 1919 წ. 23 ივნისში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 567 3—2

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჟავარიანი.